

თვის მიმოხილვა

სექტემბერი

საქართველოს ეროვნული ბანკი

2021



“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველწლიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259

სარჩევი

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება	4
2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა	8
3. საბანკო სექტორი	10
4. სავალუტო ბაზარი	15
5. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი	19
6. საგარეო სექტორის მიმოხილვა	21

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება

2021 წლის სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ 12.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო აგვისტოსთან შედარებით ფასებმა 0.2 პროცენტით მოიმატა.

სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის ზრდაზე ყველაზე მეტად მარცვლეული პროდუქტების გაძვირება მოქმედებდა. კერძოდ, ხორბლის პურზე, წიწიურაზე, ბრინჯზე და მანანის ბურღულზე ფასების ზრდამ თვის ინფლაცია 0.4 პპ-ით გაზარდა. საპირისპიროდ, ჯანმრთელობის დაზღვევის, საბანკო მომსახურების საკომისიოს, სანოტარო მომსახურების, ასლის გადაღების გაიაფებამ ჯამში თვის ინფლაცია 0.3 პპ-ით შეამცირა.

წლიურ ჭრილში, ინფლაციაზე მნიშვნელოვან გავლენას სურსათის ფასები ახდენდა. სურსათის გაძვირება გლობალური ტენდენციაა, რაც საქართველოზეც აისახება. სექტემბერში სურსათის წლიურმა ინფლაციამ 16.5 პროცენტი, ხოლო წვლილმა მთლიან ინფლაციაში 4.5 პპ შეადგინა. აქედან გამოსარჩევია მსოფლიო ბაზარზე ფასის მატების გამო მზესუმზირის ზეთის 77.0% პროცენტით გაძვირება, რამაც მთლიანი ინფლაცია 0.6 პპ-ით გაზარდა. ხორბლის გაძვირებამ პურის ფასის 13.4 პროცენტით და, შესაბამისად, ინფლაციის 0.5 პპ-ით მატება გამოიწვია. ყველის, კარტოფილის,


კვერცხის, ქათმის ხორცის და შაქრის გაძვირებამ ჯამში ინფლაცია 1.5 პპ-ით გაზარდა.

მსოფლიოში მობილობის აღდგენასთან ერთად გაიზარდა ნავთობზე მოთხოვნა და, შედეგად, ფასებიც, რამაც საწვავიც გააძვირა. 2020 წლის სექტემბერთან შედარებით ბენზინი - 44.0 პროცენტით, ხოლო დიზელი 37.0 პროცენტით გაძვირდა, რითაც საწვავის წვლილი წლიურ ინფლაციაში 1.9 პპ-ს გაუტოლდა. ჯანმრთელობის დაცვა წლიურად 9.2 პროცენტით გაძვირდა (0.7 პპ წვლილი ინფლაციაში), ხოლო სიგარეტის გაძვირების წვლილმა ინფლაციაში 0.2 პპ შეადგინა.

კომუნალური გადასახადების გავლენა ინფლაციაზე კვლავ 1.7 პპ იყო. როგორც წინა ანგარიშებში აღვნიშნეთ, ამის მიზეზი, მეტწილად, კომუნალურ გადასახადების სუბსიდირების დასრულება და ასევე გარკვეული კომუნალური გადასახადის ზრდაა.

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს გამორიცხავს, 6.3 პროცენტს გაუტოლდა.


მთლიანი და საბაზო (სურსათისა და ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაცია



წყარო: საქსტატი

¹ მთავრობის მიერ კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გამო 2020 წლის დეკემბერში კომუნალური გადასახადების ინდექსები ნოემბერთან შედარებით შემცირდა, ხოლო 2021 მარტში ეს ინდექსები ნოემბრის დონესთან შედარებით მცირედით გაიზარდა. თუმცა, პროცენტულად ზრდა გაცილებით მეტი გამოვიდა, ვიდრე - შემცირება. კომუნალური გადასახადების უცვლელი წონის პირობებში, აღნიშნულმა სხვაობამ წლიური ინფლაციის დონე მომდევნო ერთი წლის მანძილზე დაახლოებით 1.2 პროცენტული პუნქტით გაზარდა.


წლიური ფასების ცვლილება სამომხმარებლო კალათის ჯგუფების მიხედვით



წყარო: საქსტატი

სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ ადგილობრივი, შერეული და იმპორტირებული საქონელზე შესაბამისად 8.6, 14.5 და 17.8 პროცენტი შეადგინა.

იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია




წყარო: საქსტატი

2020 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ხანმოკლე და საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი, შესაბამისად, 0.2 და 0.5 პროცენტით გაძვირდა. ხანგრძლივი მოხმარების საქონელი 0.3 პროცენტით გაიფხვრა. მომსახურებაზე ფასებმა 0.4 პროცენტით მოიმატა.

წლიური მაჩვენებლების მიხედვით, ხანმოკლე, საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი, შესაბამისად, 17.2, 6.5 და 5.5 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 5.2 პროცენტით მოიმატა.

წლიური ინფლაციის მაჩვენებლები სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



წყარო: საქსტატი

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და წვლილი სფი-ში (პროცენტული პუნქტი).

	2021 წლის წონები	სექ21/აგვ21		სექ21/სექ20	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.2%	0.2%	12.3%	12.3%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	32.2%	0.2%	0.1%	15.9%	4.9%
სურსათი	28.9%	0.1%	0.0%	16.5%	4.5%
პური და პურპროდუქტები	5.6%	1.4%	0.1%	13.2%	0.7%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	-1.1%	0.0%	10.4%	0.7%
თევზეული	0.5%	2.4%	0.1%	11.5%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	-2.3%	0.0%	17.1%	1.0%
ზეთი და ცხიმი	1.9%	-4.7%	-0.1%	40.7%	0.7%
ხილი, ყურძენი	1.6%	-2.3%	-0.1%	-0.1%	0.0%
ბოსტნეული, ბაღყეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.3%	1.0%	0.0%	38.2%	1.0%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	0.6%	0.0%	16.6%	0.4%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.3%	0.0%	5.9%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	3.3%	0.3%	0.0%	10.9%	0.3%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	0.2%	0.0%	6.3%	0.4%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.8%	0.1%	0.0%	-1.1%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	0.4%	0.0%	11.8%	1.4%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	0.3%	0.0%	12.5%	0.7%
ჯანმრთელობის დაცვა	7.8%	0.0%	0.0%	9.2%	0.7%
ტრანსპორტი	13.0%	-0.2%	0.0%	20.3%	2.5%
კავშირგაბმულობა	3.6%	-1.0%	0.0%	-0.6%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.7%	4.3%	0.2%	2.7%	0.1%
განათლება	4.6%	-0.3%	0.0%	7.2%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.4%	0.0%	0.0%	10.7%	0.6%
სხვადასხვა საკონელი და მომსახურება	5.3%	1.4%	0.1%	6.0%	0.3%
ხანმოკლე მოხმარების საკონელი	58.1%	0.2%	0.1%	17.2%	9.9%
საშუალო მოხმარების საკონელი	7.3%	0.5%	0.0%	6.5%	0.5%
ხანგრძლივი მოხმარების საკონელი	4.5%	-0.3%	0.0%	5.5%	0.2%
მომსახურება	30.1%	0.4%	0.1%	5.2%	1.6%

წყარო: საქსტატი


2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა

მონეტარული აგრეგატები

2021 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 100.6 მლნ ლარით (2.0 პროცენტით) გაიზარდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 5.3 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით,

წინა თვესთან შედარებით, მონეტარული ბაზა 9.6 მლნ ლარით (0.2 პროცენტით) გაიზარდა. პერიოდის ბოლოსთვის, სარეზერვო ფულის წლიური ზრდის ტემპი 4.2 პროცენტს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში შიდასამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 65.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 65.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.

სექტემბერში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 111.8 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,052.0 მლნ ლარს გაუტოლდა.

საანგარიშო პერიოდში, განთავსდა 40.0 მლნ ლარის და დაიფარა 20.0 მლნ ლარის ოდენობის სადეპოზიტო სერთიფიკატები.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, რეფინანსირების სესხების მოცულობა წინა თვესთან შედარებით 340.0 მლნ ლარით გაიზარდა და 2,250.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელია და 400 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ერთდღიანი სესხი 126.7 მლნ ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთის ოდენობა უცვლელია და 611.3 მლნ ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 447.3 მლნ

ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 3,309.8 მლნ ლარს გაუტოლდა. გარდა ამისა, თვის განმავლობაში 69.6 მლნ ლარით შემცირდა სავალუტო სვოპის მოცულობა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვამ 100 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 100 მლნ ლარით გაიზარდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის ზეგავლენით, თვის განმავლობაში სარეზერვო ფულის მოცულობა 100.6 მლნ ლარით გაიზარდა. მათ შორის, ნაღდი ფული მიმოქცევაში - 25.4 მლნ ლარით, ხოლო საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები - 211.2 მლნ ლარით გაიზარდა. ამასთან, კომერციული ბანკების ერთდღიან დეპოზიტებზე არსებული ნაშთების ოდენობა 135.9 მლნ ლარით შემცირდა.

სარეზერვო ფულის დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21	მარ-21	აპრ-21	მაი-21	ივნ-21	ივლ-21	აგვ-21	სექ-21
სარეზერვო ფული	4 885 637	4,943,702	4,577,073	5,442,135	5,151,466	5,075,714	5 207 486	5,154,036	5,254,635
ფული მიმოქცევაში	4 417 990	4,472,684	4,469,501	4,638,706	4,565,055	4,549,315	4 641 809	4,622,315	4,647,666
ბანკების დეპოზიტები	467 647	471,018	107,572	803,429	586,411	526,399	565 677	531,721	606,969
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	333 647	459,018	48,154	746,429	466,011	489,401	500 437	393,741	604,969
ერთდღიანი დეპოზიტები	134 000	12,000	59,418	57,000	120,400	36,998	65 240	137,980	2,000

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საშუალო სარეზერვო ფულის დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21	მარ-21	აპრ-21	მაი-21	ივნ-21	ივლ-21	აგვ-21	სექ-21
სარეზერვო ფული	5,062,263	4,971,242	5,028,096	5,101,629	5,205,010	5,124,660	5 152 188	5,217,487	5,227,042
ფული მიმოქცევაში	4,473,858	4,456,799	4,499,571	4,537,656	4,568,860	4,560,563	4 619 064	4,652,991	4,659,691
ბანკების დეპოზიტები	588,405	514,443	528,525	563,973	636,151	564,097	533 124	564,497	567,351
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	490,150	431,727	461,849	500,273	453,332	517,092	464 830	534,499	533,238
ერთდღიანი დეპოზიტები	98,255	82,716	66,677	63,699	182,819	47,004	68 294	29,997	34,112

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფართო ფული

2021 წლის სექტემბერში, ფართო ფულის, M3-ის აგრეგატი 732.8 მლნ ლარით გაიზარდა და თვის ბოლოსათვის 32.6 მლრდ ლარი შეადგინა. წლიური ზრდის ტემპი 13.3 პროცენტი იყო. საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დეპოზიტებზე 405.1 მლნ ლარით ზრდა დაფიქსირდა და სექტემბრის ბოლოსთვის 17.3 მლრდ ლარს გაუტოლდა. ამავე

პერიოდში, 333.0 მლნ ლარით გაიზარდა ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების ოდენობა და მისმა მოცულობამ - 11.6 მლრდ ლარი შეადგინა. ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი, საანგარიშო პერიოდში, 2.2 პროცენტით (327.8 მლნ ლარით) გაიზარდა.

ფულადი აგრეგატების დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21	მარ-21	აპრ-21	მაი-21	ივნ-21	ივლ-21	აგვ-21	სექ-21
ფართო ფული /M3/	30,081,265	31,098,246	31,931,184	31,322,492	30,969,343	30,558,878	31 668 283	31,894,683	32,627,501
ფულადი მასა /M2/	13,191,646	13,457,627	13,638,261	13,843,949	14,041,688	14,220,267	14 933 671	14,960,589	15,288,346
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	3,647,322	3,671,090	3,621,975	3,715,975	3,651,087	3,695,787	3 731 878	3,719,860	3,714,647
ლარები მიმოქცევაში	4,417,990	4,472,684	4,469,501	4,638,706	4,565,055	4,549,315	4 641 809	4,622,315	4,647,666
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	9,544,324	9,786,537	10,016,286	10,127,974	10,390,601	10,524,480	11 201 793	11,240,728	11,573,699
დეპოზიტები უცხოური ვალუტით	16,889,618	17,640,619	18,292,923	17,478,543	16,927,655	16,338,611	16 734 612	16,934,094	17,339,155

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


3. საბანკო სექტორი

2021 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 449.4 მლნ ლარით (1.3 პროცენტით) გაიზარდა და 35.9 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2020 წლის შესაბამის პერიოდთან

მიმართებაში, მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 9.3 პროცენტით არის გაზრდილი. სადეპოზიტო ვალდებულებების ზრდაზე გავლენა როგორც ეროვნული ასევე უცხოური ვალუტის დეპოზიტების მატებამ მოახდინა.

სადეპოზიტო ვალდებულებები

მილიარდი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, ლარით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა 64.2 მლნ ლარით (0.5 პროცენტით) შემცირდა და 14.0 მლრდ ლარი შეადგინა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები კლების მიმართულებით მოქმედებდა (შემცირდა 436.6 მლნ ლარით). ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტები 300.2 მლნ ლარით გაფართოვდა, ფიზიკური პირების დეპოზიტები კი 264.4 მლნ ლარით გაიზარდა.


კომერციულ ბანკებში, უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 1.4 პროცენტის (93.3 მლნ აშშ დოლარი) ზრდა დაფიქსირდა და პერიოდის ბოლოს, 6.85 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა ძირითადად, იურიდიული პირების ვადანი დეპოზიტების მოცულობის მატებით არის განპირობებული.

სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, 2021 წლის სექტემბერში აგვისტოსთან შედარებით 0.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 61.0 პროცენტს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად, 48.5 და 74.8 პროცენტს შეადგენდა.


მიმდინარე წლის სექტემბერში წინა თვესთან შედარებით, საშუალო საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 6.5 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე,

ბანკების მიერ გადახდილი სარგებლის წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთი წინა პერიოდთან შედარებით 0.3 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 10.7 პროცენტს გაუტოლდა. იურიდიული პირების ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე, წინა თვესთან შედარებით 0.3 პროცენტული პუნქტიანი ზრდა დაფიქსირდა და 10.4 პროცენტი შეადგინა. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე წლიური განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 11.4 პროცენტს გაუტოლდა. უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების წლიური განაკვეთი არ შეცვლილა საანგარიშო პერიოდში და 0.9 პროცენტის დონეზეა. მათ შორის, უცხოური ვალუტით იურიდიული პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 1.8 პროცენტს უტოლდება. უცხოური ვალუტით ფიზიკური პირების დეპოზიტებზე განაკვეთი 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 0.9 პროცენტის ნიშნულზეა. 2020 წლის სექტემბერში არსებულ განაკვეთებთან შედარებით, ეროვნული ვალუტით დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 2.4 პროცენტული პუნქტით 10.7 პროცენტამდე გაიზარდა. კლება დაფიქსირდა წინა წლის სექტემბერთან შედარებით უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების განაკვეთებზე, 1.5 პროცენტული პუნქტით და 0.9 პროცენტს გაუტოლდა.

დეპოზიტები ეროვნული ვალუტით




დეპოზიტები უცხოური ვალუტით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების ზრდის ტემპი წინა თვესთან




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 909.8 მლნ ლარით გაიზარდა და მთლიანი მოცულობა 40.5 მლრდ ლარს გაუტოლდა. საკრედიტო პორტფელის მატება როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტით დაკრედიტების ზრდამ განაპირობა. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პორტფელის წლიურმა ზრდის ტემპმა კი 12.8 პროცენტი შეადგინა. გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე კი, სესხების

წლიური ზრდა 15.8 პროცენტი იყო. საკრედიტო პორტფელის 88.8 პროცენტი გრძელვადიან სესხებზე მოდიოდა, რომლის 52.9 პროცენტი უცხოური ვალუტით იყო გაცემული. მოკლევადიან სესხებში კი უცხოური ვალუტით სესხების წილი 40.8 პროცენტს შეადგენდა.

სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 564.6 მლნ ლარით (3.0 პროცენტით) გაიზარდა და 19.6 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად იურიდიული პირების გრძელვადიანი დაკრედიტების ზრდით იყო განპირობებული.

უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა სექტემბერში 93.3 მლნ აშშ დოლარით

(1.4 პროცენტით) გაიზარდა, წინა თვესთან შედარებით, და პერიოდის ბოლოს 6.85 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამ კატეგორიის კრედიტების 62.7 პროცენტს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენს, ხოლო 52.9 პროცენტი გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს.

მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით

მილიონი ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, მიმდინარე წლის სექტემბერში, 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.1 პროცენტს შეადგენს. უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 6.3 პროცენტი შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პროცენტული პუნქტით, 15.6 პროცენტამდე შემცირდა. ეროვნული ვალუტით სესხების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთებმა ფიზიკური პირებისთვის 18.0 პროცენტის ნიშნულზეა, ხოლო იურიდიული პირების სესხებზე 0.1 პროცენტული პუნქტით, წლიურ 12.9 პროცენტამდე გაიზარდა.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, იურიდიული პირების სესხებზე საპროცენტო განაკვეთები 0.2 პროცენტული პუნქტით 6.5 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ფიზიკური პირების მიერ უცხოური ვალუტით აღებული სასესხო განაკვეთები კი, 5.4 პროცენტის ნიშნულზეა. წინა წლის სექტემბერთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტის სესხებზე 0.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო ეროვნული ვალუტის სესხებზე - 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

სესხების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


4. სავალუტო ბაზარი

1. გაცვლითი კურსი

სექტემბერში ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.1167-დან 3.1155-მდე შეიცვალა, ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 3.6688-დან 3.6725-მდე (0.1 პროცენტით) გაუფასურდა.

თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 3.1228 და 3.6409 შეადგინა, შესაბამისად.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ, თვის საშუალო




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 3.1228, ხოლო მინიმალურმა 3.1099 შეადგინა. შესაბამისად, თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან მაქსიმალური გადახრა - 0.2 პროცენტი, ხოლო მინიმალური -0.2 პროცენტი დაფიქსირდა. საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე დოლარი საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე დოლარი

რუსული რუბლის მიმართ საშუალოდ - 1.0 პროცენტით, სომხური დრამის მიმართ - 0.5 პროცენტით და ევროს მიმართ 0.1 პროცენტით გაუფასურდა, ხოლო თურქული ლირის მიმართ საშუალოდ 0.5 პროცენტით გამყარდა. აზერბაიჯანული მანათის მიმართ პრაქტიკულად უცვლელი დარჩა¹.

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური მერყეობის დიაპაზონი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


¹ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა თვესთან შედარებით ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 0.6 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.1 პროცენტით გაუფასურდა. წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 7.3 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.6 პროცენტით გამყარდა.

სავაჭრო პარტნიორთაგან სექტემბერში წლიური ინფლაცია საქართველოში დაფიქსირებულ 12.3 პროცენტზე მაღალი იყო თურქეთში - 19.6 პროცენტი, ხოლო დაბალი იყო უკრაინაში - 11.0

პროცენტი, ბელორუსში - 10.2 პროცენტი, სომხეთში - 8.9 პროცენტი, აზერბაიჯანში - 8.5 პროცენტი, რუსეთში - 7.4 პროცენტი, აშშ-ში - 5.4 პროცენტი და ევროზონაში - 3.4 პროცენტი.

ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ 2012=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2. სავალუტო ბაზრის ტენდენციები


ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი

2021 წლის სექტემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა შემცირდა. აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 80.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე - 33.9 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის სექტემბრის მონაცემზე კი 162.0 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. იმავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 15.4 პროცენტით გაიზარდა, წლიურად კი 6.8 პროცენტით შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზრის კონცენტრაცია შემცირდა: ბანკთაშორის სავალუტო გარიგებების მთლიანი თანხის 66 პროცენტი (აგვისტო - 73 პროცენტი) ქვეყანაში მოქმედი 15 ბანკიდან და 4 არასაბანკო ორგანიზაციიდან 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციაზე მოდის. დადებული გარიგებების რაოდენობის მიხედვით, 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციას ბაზრის 64 პროცენტი უჭირავს. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შემცირდა და 11 პროცენტია (აგვისტო - 13 პროცენტი), რაც დაბალი მაჩვენებელია და სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

² რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში

ბანკათშორის სავალუტო ბაზარი და ეროვნული ბანკის წვლილი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ვაჭრობა ბანკებსა და დანარჩენ კონომიკურ აგენტებს შორის

სექტემბერში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები გაიზარდა. უცხოური ვალუტით ლარის ვაჭრობა თითქმის მთლიანად სპოტ გარიგებებით ხდებოდა (99.5 პროცენტი) და 1,839.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც აგვისტოს მონაცემთან შედარებით - 66.8 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 241.8 მლნ აშშ დოლარით მეტია.

სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე (69.7 პროცენტი) მოდიოდა, დანარჩენი კი შინამეურნეობებზე (25.9 პროცენტი) და არარეზიდენტ ბანკებზე (4.4 პროცენტი).

სებ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე (მლნ აშშ დოლარი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

³ სპოტი გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


საერთო ჯამში, სპოტ გარიგებებით ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნამ 972.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც აგვისტოს მაჩვენებელთან შედარებით - 82.9 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წლიურად 171.3 მლნ აშშ დოლარით მეტია. სეგმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ სპოტ გარიგებებით იურიდიული პირების მიერ უცხოური ვალუტის ყიდვებმა 771.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, შინამეურნეოების შესყიდვები 153.1 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო არარეზიდენტი ბანკების - 47.6 მლნ აშშ დოლარი.

რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოური ვალუტის სპოტ გარიგებებით მიწოდებას, სექტემბერში 866.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც აგვისტოს მაჩვენებელთან შედარებით - 16.0 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო წლიურად 70.5 მლნ აშშ დოლარით მეტია. იურიდიულმა პირებმა 509.9 მლნ აშშ დოლარი გაყიდეს, შინამეურნეოებმა - 323.6 მლნ აშშ დოლარი, არარეზიდენტმა ბანკებმა კი - 33.3 მლნ აშშ დოლარი.

სპოტ გარიგებით შეძენილი უცხოური ვალუტა



სპოტ გარიგებით გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში სავალუტო ფორვარდ⁴ გარიგებებით ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობამ 9.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც აგვისტოს მონაცემთან შედარებით - 1.4 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.5 მლნ აშშ დოლარით მეტია. მიმდინარე თვეში ფორვარდ გარიგებები (100.0 პროცენტი) მხოლოდ იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების

მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა 5.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


⁴ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

5. ბანკთაშორის ფულადი ბაზარი

სადეპოზიტო სერტიფიკატები სექტემბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონზე ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 78.0 მლნ ლარი შეადგინა და სრულად განთავსდა 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები, საანგარიშსწორებო ფასით 19.5 მლნ ლარი. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი

0.13 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.51 პროცენტია. სექტემბერში არსებული დაფარვების გათვალისწინებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნომინალური მოცულობა 20 მლნ-ით გაიზარდა და 80 მლნ ლარს შეადგენს.

3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის საპროცენტო განაკვეთები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონები სექტემბერში ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ოთხი აუქციონი, რომლებზეც ჯამში 85.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. საანგარიშსწორებო ფასმა 82.0 მლნ ლარი შეადგინა. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ ფასიან ქაღალდებზე ემისიას 3-ჯერ გადააჭარბა.

სექტემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი და ხუთწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 15, 15, 20, 35 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი 20.0 მლნ ლარით გაიზარდა და 5,136 მლნ ლარია.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.09 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 9.48 პროცენტს შეადგენს. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 9.24 პროცენტია, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.05 პროცენტული პუნქტით მეტია. ორწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთი 0.58 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 9.42 პროცენტს შეადგენს. ხოლო, ხუთწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთი 0.18 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.25 პროცენტია.

შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი სექტემბერში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის კლება შეინიშნებოდა, რაც ძირითადად ეროვნული ვალუტის რესურსის ბრუნვის შემცირებით იყო განპირობებული. ბაზრის მთლიანმა ბრუნვამ 3,781 მლნ ლარი შეადგინა, რაც აგვისტოს მაჩვენებელზე 262 მლნ ლარით, ხოლო, წინა წლის სექტემბერთან შედარებით 188 მლნ ლარით ნაკლებია.


წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის რესურსის ბრუნვა 209 მლნ ლარით (11.2 პროცენტი), ხოლო, უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის მოცულობა 52 მლნ ლარით (2.4 პროცენტი) შემცირდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის სექტემბერში ლარის რესურსის ბრუნვა 271 მლნ ლარით (14.0 პროცენტი) შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტის ბრუნვა 83 მლნ ლარით (4.1 პროცენტი) გაიზარდა.

სექტემბერში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მთლიან ბრუნვაში ლარის რესურსის ხვედრითმა წილმა 43.9 პროცენტი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 2.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო

წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 4.7 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.24 პროცენტული პუნქტით, ხოლო წლიურად 1.85 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 9.77 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტის შემთხვევაში, განაკვეთი თვის განმავლობაში 1.13 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო წლიურად 0.56 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 1.73 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ფულადი ბაზრის რესურსის 33.4 პროცენტი ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 62.6 პროცენტი კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


6. საგარეო სექტორის მიმოხილვა

2021 წლის სექტემბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 31.8 პროცენტით გაიზარდა და 552.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საანგარიშო თვეში საქონლის

რეგისტრირებულმა ექსპორტმა წლიურად 12.8 პროცენტით მოიმატა და 373.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 23.4 პროცენტით 925.8 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა

მილიონი აშშ დოლარი




წყარო: საქსტატი

იმპორტი - 2021 წლის სექტემბერში საქონლის იმპორტი წლიურად 23.4 პროცენტით გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებიდან იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილით გამოირჩეოდა თურქეთი, რაც, ძირითადად, 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილებისა და ნახშირბადიანი ფოლადის წნელების შემოტანას უკავშირდება. თურქმენეთიდან, რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან იმპორტის ზრდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ხოლო უკრაინიდან ნახშირბადიანი ფოლადის ნახევარფაბრიკატებისა და სამკურნალო საშუალებების გაზრდილმა შესყიდვებმა გამოიწვია. დანარჩენი ქვეყნებიდან, კერძოდ, ბულგარეთიდან და იტალიიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, გერმანიიდან ჭურჭლის სარეცხი მანქანებისა და სხვადასხვა ტიპის ამწეების, საფრანგეთიდან შერეული საქონელის,

ინდონეზიიდან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ჰონგ-კონგიდან გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ირანიდან პოლიმერებისა და კერამიკული ფილების, ხოლო იაპონიიდან მსუბუქი ავტომობილების იმპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, იმპორტის შემცირება სომხეთიდან და ბრაზილიიდან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო აშშ-დან მსუბუქი ავტომობილების შემოტანის კლებით არის გამოწვეული.


2021 წლის სექტემბერში ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები იყო: თურქეთი, რუსეთი, ჩინეთი, გერმანია, აზერბაიჯანი, უკრაინა და აშშ. ჯამურად, 7 ძირითად საგარეო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 56 პროცენტი მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

იმპორტი ქვეყნების მიხედვით (სექტემბერი 2021)



წყარო: საქსტატი

საქონლის იმპორტის წლიური ცვლილება



2021 წლის სექტემბერში, იმპორტირებული საქონლის მნიშვნელოვან ნაწილს, 9.1 პროცენტს, ნავთობი და ნავთობპროდუქტები წარმოადგენდა, რომელთა ჯგუფმა იმპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი 5.7 პპ შეიტანა. ასევე იმპორტზე ზრდის მიმართულებით დაფასებული სამკურნალო საშუალებების, გამომთვლელი მანქანებისა და ბლოკების, სატელეფონო აპარატების, 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილებისა და იმუნური შრატების ჯგუფების იმპორტმა (ჯამურად 4.7 პპ) მნიშვნელოვნად იმოქმედა. გარდა ამისა, ერთჯერადი სახით შერეული საქონლის იმპორტი 3.3-ჯერადი მატებით იმპორტის მთლიან ზრდაში მაღალი წვლილით (1.5 პპ) გამოირჩეოდა. ამის საპირისპიროდ, საანგარიშო პერიოდში მსუბუქი ავტომობილების, სპილენძის მადნებისა

და კონცენტრატებისა და ხორბალი-მესლინის იმპორტი არსებითად შემცირდა. აღსანიშნავია, რომ სექტემბერში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით

	2021 სექტემბერი		2021 აგვისტო		2020 სექტემბერი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	84 281.0	9.1%	50 258.9	5.9%	103 510.9	13.8%
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	84 180.2	9.1%	87 145.6	10.3%	41 482.4	5.5%
მსუბუქი ავტომობილები	59 117.2	6.4%	64 715.1	7.7%	64 325.9	8.6%
დაფასებული სამკურნალო საშუალებები	26 968.5	2.9%	26 541.3	3.1%	24 570.4	3.3%
გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	20 241.5	2.2%	29 615.9	3.5%	3 642.3	0.5%
სატელეფონო აპარატები	18 856.9	2.0%	22 546.6	2.7%	12 703.2	1.7%
შერეული საქონელი	16 386.7	1.8%	1 459.3	0.2%	5 029.0	0.7%
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	14 805.9	1.6%	13 005.8	1.5%	17 717.9	2.4%
ავტომობილები, განკუთვნილი 10 კაცი ან მეტის გადასაყვანად	14 765.3	1.6%	2 590.1	0.3%	6 856.9	0.9%
იმუნური შრატები, სისხლი ადამიანისა; სისხლი ცხოველებისა	12 155.8	1.3%	10 165.8	1.2%	4 111.1	0.5%
სხვა	574 018.5	62.0%	537 868.3	63.6%	466 254.6	62.2%
სულ	925 777.5		845 912.6		750 204.5	


წყარო: საქსტატი

ექსპორტი - 2021 წლის სექტემბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 12.8 პროცენტით გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანში ექსპორტის მატებამ, რაც მსუბუქი ავტომობილებისა და სატელეფონო აპარატების ექსპორტს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია თურქეთში - ტანსაცმლის, ფეროშენადნობებისა და ლითონის ჯართის, რუსეთში - ფეროშენადნობების, კარტოფილის, სიგარეტები-სიგარილებისა და მინერალური წყლების, სომხეთში - სპირტიანი სასმელებისა და სატელეფონო აპარატების, ექსპორტის ზრდა. გარდა ამისა, უზბეკეთში სამკურნალო საშუალებების, ხოლო ყაზახეთში მსუბუქი ავტომობილებისა და სამრეწველო ღუმელების ექსპორტი გაიზარდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიაში


კაკლის, რუმინეთში კი მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტის მაღალი მაჩვენებლები. ამის საპირისპიროდ, ესპანეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი, ხოლო არაბთა გაერთიანებულ საემიროებში მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა.

2021 წლის სექტემბერში ძირითადი საექსპორტო ქვეყნები იყო: აზერბაიჯანი, რუსეთი, აშშ, უკრაინა, სომხეთი, თურქეთი და ბულგარეთი. ჯამურად, 7 ძირითადი სავაჭრო პარტნიორის წილმა მთლიანი ექსპორტის 57 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტის წლიური ცვლილება



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (სექტემბერი 2021)



წყარო: საქსტატი

2021 წლის სექტემბერში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 12.8 პროცენტთან შედარებით წინა პერიოდში (4.9 პროცენტული პუნქტი) ექსპორტმა შეიტანა. ექსპორტის მოცულობაზე დადებითად აისახა თხილსა და კაკალზე, სპირტიან სასმელებზე, მინერალურ და ქიმიურ სასუქებსა და გაზიან წყლებზე საგარეო მოთხოვნის მატება (ჯამურად 4.5 პროცენტული პუნქტი წვლილი მთლიანი ექსპორტში). აღსანიშნავია, ასევე მსუბუქი ავტომობილების, ყურძნის ნატურალური ღვინოებისა

და დაფასებული სამკურნალო საშუალებების ექსპორტიდან მცირედით გაზრდილი შემოსავლები. ამის საპირისპიროდ, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი არსებითად შემცირდა და საკმაოდ მაღალი (-7.8 პპ) უარყოფითი წვლილი შეიტანა მთლიანი ექსპორტის ცვლილებაში. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ექსპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით

	2021 სექტემბერი		2021 აგვისტო		2020 სექტემბერი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	53 795.7	14.4%	54 006.7	16.1%	79 559.3	24.0%
ფეროშენადნობები	50 978.7	13.6%	36 939.6	11.0%	34 828.1	10.5%
მსუბუქი ავტომობილები	44 853.1	12.0%	45 028.6	13.4%	44 103.1	13.3%
თხილი და სხვა კაკალი	24 594.9	6.6%	8 345.6	2.5%	20 602.0	6.2%
ყურძნის ნატურალური ღვინოები	22 030.4	5.9%	20 078.5	6.0%	21 264.9	6.4%
სპირტიანი სასმელები	12 761.2	3.4%	11 639.5	3.5%	10 409.9	3.1%
მინერალური და მტკნარი წყლები	11 602.4	3.1%	12 665.9	3.8%	11 501.6	3.5%
დაფასებული სამკურნალო საშუალებები	8 944.6	2.4%	8 540.7	2.5%	7 836.8	2.4%
სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	8 662.7	2.3%	2 571.8	0.8%	2 577.5	0.8%
წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით	5 483.0	1.5%	6 106.7	1.8%	2 893.0	0.9%
სხვა	129 901.6	34.8%	129 214.6	38.6%	95 752.6	28.9%
სულ	373 608.2		335 138.2		331 328.8	


წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2021 წლის სექტემბერში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წელთან შედარებით 8.8 პროცენტით მოიმატა და 209.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 16.6 პროცენტით 29.2 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

საანგარიშო თვეში რეგიონის ქვეყნებიდან ზრდის მაღალი ტემპით ყაზახეთიდან (204.8 პროცენტით) და ყირგიზეთიდან (238.2 პროცენტით) გადმორიცხული ფულადი სახსრები გამოირჩეოდნენ, რომელთა წვლილები მთლიანი გზავნილების ცვლილებაში, შესაბამისად, 2.1 და 1.3 პროცენტული პუნქტებით აისახა. ფულადი გადმორიცხვები ასევე რუსეთიდან გაიზარდა, ხოლო თურქეთიდან და უკრაინიდან შემცირდა. საანგარიშო თვეში ჯამურად ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხულმა თანხებმა 10.6 პროცენტით მოიმატა (4.3 კპ წვლილი), რაც, ძირითადად, იტალიიდან (16.6 პროცენტით) და გერმანიიდან (44.1 პროცენტით) გაზრდილმა გზავნილებმა განაპირობა. საბერძნეთიდან გზავნილების მოცულობა ზომიერად შემცირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების ზრდაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა აშშ-დან (11.7 პროცენტით) და ისრაელიდან (7.4 პროცენტით) მიღებულმა თანხებმა. რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (41.0 პროცენტი), რუსეთი (18.4 პროცენტი) და აშშ (11.7 პროცენტი) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან


აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

წილი მთლიან ფულად გზავნილებში (სექტემბერი 2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვეყნების წვლილი სწრაფი ფულადი გზავნილების ზრდაში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმი - 2021 წლის სექტემბერში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 348.8 პროცენტით გაიზარდა. ტურისტების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების

92.5 პროცენტი შეადგინა და წლიურად 401.3 პროცენტით მოიმატა. საანგარიშო თვეში ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

ვიზიტორები ტიპების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია


გლობალურად შედარებით გააქტიურებული ტურიზმისა და საქართველოში პანდემიის შემკავებელი ზომების შერბილების ფონზე უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდა გაგრძელდა. სექტემბერში ვიზიტორების წლიურმა ზრდამ 348.8 პროცენტი შეადგინა, თუმცა ეს საბაზო ეფექტს უკავშირდება, ვინაიდან შარშან ზაფხულსა და შემოდგომაზე ტურიზმი პრაქტიკულად გაჩერებული იყო. 2019 წლის სექტემბერთან შედარებით კი 71.1 პროცენტით ნაკლები ვიზიტორი შემოვიდა. რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე დიდი წვლილები ვიზიტორების ზრდაში რუსეთიდან (56.9 კპ), უკრაინიდან (43.4 კპ) და თურქეთიდან (27.2 კპ) შემოსულმა ვიზიტორებმა შეიტანეს. ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორთა რაოდენობა 9.4-ჯერ გაიზარდა, რამაც მთლიან ზრდაში 44.0 კპ წვლილი შეადგინა. განსაკუთრებით, პოლონეთიდან (13.8 კპ) და გერმანიიდან (6.4 კპ) შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ მოიმატა. დანარჩენი ქვეყნებიდან

აღსანიშნავია საუდის არაბეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, როგორც ზრდის ტემპით (1038-ჯერ მეტი ვიზიტორი), ასევე მთლიან ზრდაში მაღალი წვლილით (18.5 კპ).

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები – 2021 წლის სექტემბერში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 40.0 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. საერთაშორისო რეზერვებზე კლების მიმართულებით, ძირითადად, მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, ხოლო ზრდის მიმართულებით კომერციულ ბანკებთან განხორციელებულმა ოპერაციებმა იმოქმედა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები

მილიარდი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, სანაპიროს ქ. N2
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ-ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

